წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

**ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი ,,უსამართლო შირვან შაჰი“ და უპასუხეთ კითხვებს:**

შირვანს შაჰ იჯდა, ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მაოხარი ქვეყანათა. სადაცა მოჩივარი, ანუ გლახაკი ნახის, წამსვე მოჰკლის. აოხრდა ყოველი სამეფო მისი.

დღესა ერთსა ნახა მოჩივარი ვინმე. მოკლვა მისი ბრძანა. მან კაცმან თქვა: მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, ამად რომე ყოველთა მფრინველთა და მხეცთა ენა ვიციო.

იამა მეფესა და აღარ მოკლა, მართალი ეგონა, ვაზირსა მიაბარა, ეგრე უბრძანა: ამისგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო!

წაიყვანა ვაზირმან. იცოდა, რომე სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა. კაცი იგი განუტევა.

გამოხდა დღენი მრავალნი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გაღმართ ორნი წოტნი იძახდენ. მოეგონა კაცი იგი მოენე მეფესა და ჰკითხა ვაზირსა: ისწავლე მფრინველთ ენა მის კაცისაგანაო?

მან მოახსენა: ვისწავლეო.

უბრძანა: იგი წოტნი რას უბნობენო?

ვაზირმან მოახსენა: ერთსა ქალი ჰყავს და მეორე ვაჟისთვის სთხოვს. ქალის პატრონი ეუბნება: თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო.

ვაჟის მამა ასე ეუბნება: შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი სხვა მყავსო, მათ საცოლეებს რაღა ვუყო? ქალის მამამ ეგრე უთხრა: რას ზარობ და დაღონებულხარ? თუ შირვან-შაჰს დღე გაუგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო!

ეწყინა შაჰის და თქვა: მე აგრე უსამართლო ვარო?

ვაზირმან მოახსენა: წოტნი ეგრე იტყვიანო.

მას სიტყვის უკან ის შაჰი მოწყალე შეიქმნა.

1. სად ხდება ნაწარმოებში გადმოცემული მოქმედება?
   ა. შირვანში  ბ. არტანუჯში  გ. ანანურში
2. როგორი არ იყო შაჰი?
   ა. უსმართლო  ბ. შეუბრალებელი  გ. კეთილი
3. რატომ გაათავისუფლა ვეზირმა ,,მოჩივარი ვინმე“?
   ა. კაცი ვაზირს მოკვლით დაემუქრა.
   ბ. ვეზირი მიხვდა, რომ კაცმა ტყუილი თავის გადასარჩენად თქვა და შეებრალა.
   გ. შაჰმა უბძანა გაეშვა.

4. ,, გამოხდა დღენი მრავალნი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვან-შაჰ და გაღმართ ორნი წოტნი იძახდენ.“

   როგორ გესმით ,,გამოხდა ხანი“?

   ა. გავიდა დრო  ბ. დაუყოვნებლივ  გ. ჩვეულებისამებრ

5. რის შესახებ ,,საუბრობდნენ“ ჭოტები?

   ა. შაჰის მოწყალე ბუნების შესახებ.

   ბ. ვეზირის გონიერების შესახებ.

   გ. შაჰის სასტიკი განზრახვის შესახებ.

6. ნაწარმოების მიხედვით, რომელია მართებული მსჯელობა?

   ა. ვეზირმა შაჰი ქარაგმულად ამხილა.

   ბ. ჭოტი შაჰის საყვარელი ფინველია.

   გ. ვეზირი სიკვდილით დასაჯა მეფემ.

7. იგავის მიხედვით, რომელი არ არის მართებული მსჯელობა?

   ა. ზოგჯერ უმჯობესია ადამიანს სათქმელი ალეგორიულად უთხრა.

   ბ. ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

   გ. არასდროს აქვს აზრი ადამიანს მანკიერ თვისებაზე მიუთითო, იგი მაინც არ შეიცვლება.

**შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:**
**შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:**

8. ,, იმ დღეს ჩვენთვის აღარც კაკანათი იყო, აღარც თოვლის გუნდა“
   ა. მახე ბ. პეპელა გ. საჩუქარი
9. ,, სიცილს, ხარხარს და დედის უგულოდ, ტყუილად ჯავრობას ბოლო არა ჰქონდა.“
   ა. წყრომას ბ. სიცილს გ. წყევლას
   გ. ტიკტიკი
10. ,, მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედიჩემისა, მამიჩემისა.“
    ა. ჩამომჯდარი ბ. სევდიანი გ. დინჯი
11. ,, დღეს იქ, იმპატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა.“
    ა. ორმო ბ. საფლავი გ. ჭიშკარი

**შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:**

12. ,, დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია.“
    ა. მწარე ბ. ზმანებაა გ. ცხადია
13. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა.“
    ა. ტკივილი ბ. დარდი გ. სიხარული
14. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს.“
    ა. უყვარს ბ. ულხინს გ. უჭერს

**ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:**

15. ,,ბევრმა წყალმა ჩაიარა“ ანუ
    ა. წყალდიდობა იყო ბ. დიდი დრო გავიდა გ. მდინარე ადიდდა
16. ,,გული მეწვის“ ანუ
    ა. ვდარდობ ბ. მიხარია გ. ავად ვარ
17. ,,აქილევსის ქუსლი“ ანუ
    ა. კარგი მხედარი ბ. ცუდი ექიმი გ. სუსტი ადგილი
18. ,,ბარგის აკვრა“ არ არის
    ა. აყრა ბ. წასვლა გ. დასახლება
19. ,,აღვირის ამოდება“ არ არის
    ა. შეზღუდვა ბ. დამორჩილება გ. გაქცევა